გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება №90

2025 წლის 04 აგვისტო
ქ. გორი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დანართი N1

ა) „გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს. ასმათ ტალახაძე/

ბ) „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი;

/მომხს. ლეილა მამულაშვილი/